ხელშეკრულება N3-43

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ერთი მხრივ **სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“,** შემდგომში - შემსყიდველი, წარმოდგენილი სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე **ვახტანგ ბააკაშვილის** სახით და მეორე მხრივ მხრივ **შპს „გორგია“** წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის **თამარ ჯავახიშვილის (N220648827 01.06.2022)** სახით ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის 2022 წლის 14 მარტის N10/ს ბრძანების, შემსყიდველი ორგანიზაციის პროგრამების მართვის დეპარტამენტის ანაკლიის ბანაკის მთავარი მენეჯერის ლევან ნინოშვილის 2022 წლის065 ივნისის N02/510 მოხსენებითი ბარათის და ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო - ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტის შტ/მოს გიორგი მაისურაძის 2022 წლის 27 ივნისის N02/686 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონსა და მის საფუძველზე გამოცემულ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, მიმწოდებლის მიერ, ანაკლიასა და შაორის ტბის მიმდებარე ბანაკებისთვის საჭირო სამეურნეო საქონლის (CPV-31700000 -ელექტრონული, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური აქსესუარები; CPV44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჯაჭვები და ზამბარები/რესორები) შემსყიდველისთვის მიწოდება - შემდგომში საქონელი.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **76.98 (სამოცდათექვსმეტი ლარი და 98 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

3.2 საქონლის ერთეულისა და საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანართ(ებ)ის შესაბამისად არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

ა) საქონლის მიწოდების დროს განახორციელოს საქონლის ხარისხისა და სხვა პირობების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის ინსპექტირება;

ბ) მოთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი, ექპლუატაციაში არმყოფი საქონლის მიწოდება;

ბ) შეათანხმოს შემსყიდველთან დროშების ზომა და დიზაინი;

გ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

დ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ზიანი;

ე) დროულად განიხილოს შემსყიდველის დასაბუთებული პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) არ გადასცეს მესამე მხარეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე.

მუხლი 6. ხარისხი

6.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისათვის უკვე არსებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

6.2. აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მოწოდებული საქონელი.

6.3. შემსყიდველის მიერ ყველა გამოვლენილი და დასაბუთებული ხარვეზის გამოსწორებასთან ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება საქონლის მიწოდების დროს;

7.2. ინსპექტირებას განახორციელებს და შესაბამის ინსპექტირების აქტს ხელს მოაწერს: სსიპ "ახალგაზრდობის სააგენტოს" პროგრამების მართვის დეპარტამენტის ანაკლიის ბანაკის მთავარი მენეჯერი **ლევან ნინოშვილი** ან/და პროგრამების მართვის დეპარტამენტის შაორის ბანაკის მთავარი მენეჯერი **ანა ქერქაძე.**

7.3. ინსპექტირება გულისხმობს მისაწოდებელი/მიწოდებული საქონლის რაოდენობის/მოცულობის, ხარისხის, შესრულების ვადებისა და დოკუმენტების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.4. იმ შემთხვევაში თუ ინსპექტირების შედეგად აღმოჩნდება რომ საქონელი წუნდებულია, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **10 (ათი)** დღეში გამოასწოროს წუნი.

7.5. იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7.6. თუ ამ მუხლის 7.4. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

მუხლი 8. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის (დადებითი დასკვნით) გაფორმების შემდეგ.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

8.4. მიწოდებული საქონლის მიღებას აწარმოებენ: სსიპ "ახალგაზრდობის სააგენტოს" ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი შტ/მოს. **გიორგი ბარჯაძე.**

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით ლარში, საქონლის სრულად მიწოდების შემდგომ, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ინსპექტირების აქტის (დადებითი დასკვნით) გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილების შემსყიდველს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.3. თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება 10 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 11.1 და 11.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს თანხის სრულად გადახდამდე და შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარმოდგენამდე, არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების ცვლილების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.**

მუხლი 16. ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.4. მხარეთა ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის დასრულებისთანავე.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მასზე ხელმოწერა ხორციელდება „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ 2017 წლის 21 აპრილის საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“
ს/კ: 205382398
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ
ტელ: 230 17 75;
სახაზინო რეკვიზიტები:
კოდი: TRESGE22
ა.ა: 200122900

სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე
ვახტანგ ბაკაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „გორგია“,
ს/კ 245621288;
მის. ქ. თბილისი, წერეთლის N14 0
ტელ: 0322960960
Meil: sip@gorgia.ge
საბანკო რეკვიზიტები
სს „თიბისი ბანკი“
ბანკი კოდი: TBCBGEGE22
ანგ.N GE62TB1007536020100008

დირექტორის მინდობილი პირი
თამარ ჯავახიშვილი

Tamar Javakhishvili 01011096225
Digitally signed by Tamar Javakhishvili
Date: 2022.07.13 17:47:24

ხელშეკრულების დანართი N1

N	საქონლის დასახელება	CPV	რაოდენობა განზომილება	ერთ. ფასი	სულ ფასი
1	უნივერსალური უახლესი თაობის ელექტროდი 4მმ, 2,5კგ	31711140	1 შეკვრა	29.00	29.00
2	1,01-4,2x70-22000 თვით მჭრელი მუყაოსი 50(ცალი)	44531300	2 შეკვრა	6.20	12.40
3	1,01-3,5 x 35-თვით მჭრელი 100 (ცალი)	44531300	2 შეკვრა	4.35	8.70
4	ლურსმანი 6სმ,7სმ,8სმ	44192200	3 კგ	5.16	15.48
5	დუბელი შურუპი 6*35	44531510	1 შეკვრა	11.40	11.40
ხელშეკრულების ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით:					76.98

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ხელშეკრულება: N3-43 (2022წ)
მიმწოდებელი: შპს „გორგია“, ს/კ 245621288

მე, ქვემოთ ხელის მომწერი, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) შესაბამისად, ვადასტურებ, რომ **შპს „გორგია“, ს/კ 245621288** მიმართებაში ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“
ხელმძღვანელის მოადგილე
ვახტანგ ბაკაშვილი _____